სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 1 22 0000804451

14/07/2022

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისში ვაკანტურ თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, „დამხმარე პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2016 წლის 29 ივნისის #12 სხდომის #1 დადგენილების და ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის უფროსის ლევან ხეცურიანის 2022 წლის 14 ივლისის სამსახურეობრივი ბარათის (805662) საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.გამოცხადდეს ღია კონკურსი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისში, შემდეგი ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად: მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი- 3 ადგილი.
2.დამტკიცდეს გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია სამუშაო პირობების შესახებ და კანდიდატის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი 1-ის შესაბამისად.
3.კანდიდატმა განცხადება უნდა წარმოადგინოს 2022 წლის 18 ივლისიდან 22 ივლისის ჩათვლით, ელექტრონული ფოსტის - info@gtu.ge-ს მეშვეობით.

4.გასაუბრება ჩატარდება 2022 წლის 01 აგვისტოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისში, მის: ქ. თბილისი, მ. კოსტავას #77, ადმინისტრაციული კორპუსი, პირველი სართული. გასაუბრების ჩატარების დროისა და სხვა კონკრეტული საკითხების შესახებ, კანდიდატებს დამატებით ეცნობებათ მათ მიერ წარმოდგენილი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.
5.კანდიდატს, რომელიც არ ფლობს C1 ან B2 დონის შესაბამის ენის ცოდნის დამადასტურებელ სერთიფიკატს, ჩაუტარდება გასაუბრება ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადგენად.
6.კანდიდატებს გასაუბრების შედეგები ეცნობებათ არაუგვიანეს 2022 წლის 03 აგვისტოსა.
7.ბრძანება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს საქმისწარმოების დეპარტამენტმა.
8.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).



რექტორი
გურგენიძე დავით